საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030107227239819

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/13646 **26 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ,,ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი სერვისის, პროდუქტის ან/ და სამუშაოს დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა სახელმწიფო გადასახდელები სრულად უნდა გადაიხდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განკარგვაში არსებულ პროგრამულ კოდებს საჭიროა დაემატოს „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KFW)“ სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 06 06, ფუნქციონალური კოდი -7.10.7, საიდენტიფიკაციო კოდი - 202486559, განმახორციელებელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) და ამ ეტაპზე ასიგნება განისაზღვროს 100 000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 100 000 ლარის მოძიება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ განხორციელდეს „2019 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 მაისის N1213 დადგენილების საფუძველზე „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 04) და „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 06) პროგრამებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველ კვარტალში განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში განახორციელოთ გეგმის ცვლილება დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური